საქართველოს მთავრობის

დადგენილება №19

2017 წლის 24 იანვარი

ქ. თბილისი

„ნარჩენების აღრიცხვის წარმოების, ანგარიშგების განხორციელების ფორმისა და შინაარსის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 აგვისტოს №422 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-9 პუნქტისა და ნარჩენების მართვის კოდექსის 50-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, „ნარჩენების აღრიცხვის წარმოების, ანგარიშგების განხორციელების ფორმისა და შინაარსის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 აგვისტოს №422 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 12/08/2015, 360100000.10.003.018808) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. დადგენილების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა 2017 წლის პირველ სექტემბრამდე გამოსცეს ბრძანება „აღრიცხვა-ანგარიშგების ელექტრონული ფორმებისა და ნარჩენების მონაცემთა ბაზის ელექტრონული ფორმების შევსების წესის შესახებ.“.

2. დადგენილების მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„1^1. დადგენილების პირველი მუხლის მოქმედება შეჩერდეს 2018 წლის 1 იანვრამდე.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**